

## ივანე აღნიაშვილი

დაიბადა 1981 წლის 23 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

1998 წელს დაამთავრა ყვარლის რაიონის სოფ. შილდის N1 საშუალო სკოლა.

1998-2003 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით (კვალიფიკაცია - იურისტი).

2002 წლის სექტემბერი - 2003 წლის იანვარი, იყო ქ. თბილისის პროკურატურის სტაჟიორი (პრაქტიკანტი).

2004 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2005 წლის მაისი - 2005 წლის აგვისტო, იყო ყვარლის რაიონული პროკურატურის სტაჟიორი (პრაქტიკანტი).

2005 წლის აგვისტო - 2005 წლის ოქტომბერი გახლდათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სტაჟიორი (პრაქტიკანტი).

2005 წლის ოქტომბერი - 2006 წლის მაისი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

2006 წლის მაისი - 2007 წლის ნოემბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლო სხდომის მდივანი.

2007 წელს ჩააბარა მოსამართლის თანაშემწის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2007 წლის ნოემბერი - 2008 წლის ნოემბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი.

2008 წლის ნოემბერი - 2015 წლის მაისი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე.

2014 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

15.06.2015 - 20.04.2016 წწ. გახლდათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 2016 წლის 25 ივლისიდან განმწესებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

დასაოჯახებელი.